მითების დეტექტორი

ვენდერული
იდენტობაზე დაფუძნებული
დეზინფორმაცია

გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია

ავტორი: თამარ კინწურაშვილი

ანგარიში ეყრდნობა „მითების დეტექტორის“ ფაქტების ანალიტიკოსების მიერ მომზადებულ მასალებს.

ფაქტების გადამოწმებაზე მუშაობდნენ: მაიკო რატიანი, თინა თვაური, ანი ქისტაური, თეკლა ხარაზიშვილი, ცისია კირვალიძე, დავით რობაქიძე, მარიამ ტალახაძე, არაბელა კორძახია, გიორგი მინაშვილი, მარიამ დანგაძე

დიზაინი: მარიამ ცუცქირიძე

გარეკანის ფოტო: ShutterStock, Anton Vierietin

www.mdfgeorgia.ge
www.mythdetector.com
www.genderbarometer.ge

შესავალი

გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის ინსტრუმენტალიზაცია პოლიტიკური მიზნით 2024 წელსაც აქტუალური პრობლემა იყო და როგორც საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ასევე საერთაშორისო და რეგიონულ თემატიკასაც ეხმიანებოდა.

წინამდებარე კვლევა, რომელიც 2024 წლის მონაცემებს აანალიზებს, გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის თემატიკას, სამიზნეებს, მეთოდებს და წყაროებს მიმოიხილავს. კვლევაში ცალკე თავად არის წარმოდგენილი დასავლეთთან დაკავშირებული დეზინფორმაცია და ცალკე არის მიმოხილული უშუალოდ საქართველოს შიდა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესთან დაკავშირებით გავრცებული მანიპულაციური შინაარსი.

როგორც მონაცემების ანალიზი აჩვენებს, ადგილობრივი თუ გარე მავნე აქტორები ამ თემატიკას როგორც ინდივიდუალური უფლებების ხელყოფის მიზნით, ასევე პოლიტიკურ ინსტრუმენტადაც იყენებენ და ცალკეული ჯგუფების სტიგმატიზების გარდა, ანტიდასავლურ და ანტილიბერალურ განწყობებს აღვივებენ.

კვლევაში გაანალიზებულია ფაქტების გადამოწმების პლატფორმის “მითების დეტექტორის” მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე გამოვლენილი და გადამოწმებული ინფორმაცია, რომელიც გენდერული ან იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის ნიშნებს შეიცავს.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია გენდერული დეზინფორმაციის გამოვლენა, მათი წყაროების და მოქმედების ტაქტიკის შესწავლა.

მედიის განვითარების ფონდი (MDF) წარმოდგენილ კვლევაში EU Disinfo Lab-ის გენდერული დეზინფორმაციის შემდეგ დეფინიცას ეყრდნობა:

> "**გენდერული დეზინფორმაცია** გენდერისა და დეზინფორმაციის ინტერსექციაზე აკეთებს აქცენტს, როდესაც ქალები, არაბინარული ადამიანები და საზოგადოების ისეთი მარგინალიზებული წევრები, როგიცაა LGBTQIA+ თემი, არაპროპორციულად ხდებიან ყალბი და არაზუსტი ინფორმაციის სამიზნე. გენდერისა და დეზინფორმაციის შერწყმის ტექნიკები მრავალგვარია; მაგალითად, ისეთი მიზოგენური კომენტარების გავრცელება, რაც გენდერულ სტერეოტიპებს ამძაფრებს; გრაფიკული კონტენტის სექსუალიზება, ონლაინ შევიწროება, მათ შორის ძალადობრივი მუქარების გავრცელება, კიბერთავდასხმები და ა.შ.[1]"

კვლევა ასევე იყენებს ევროპის საგარეო სამოქმედო სამსახურის (EEAS) მიერ შემუშავებულ იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის განმარტებას:

> **იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია** გულისხმობს გენდერთან, სექსუალურობასთან, რასასთან, ეთნიკურ კუთვნილებასთან, რელიგიასთან და იდენტობის სხვა ნიშნებთან დაკავშირებით გავრცელებულ შეცდომაში შემყვან ან ცრუ ბრალდებებს მარგინალიზებული თემების გაჩუმების, დათრგუნვის ან ჩახშობის მიზნით. ასეთი დეზინფორმაცია საფრთხეს უქმნის სოციალურ ერთიანობას, არყევს დემოკრატიული პროცესების მიმართ ნდობას და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად საზოგადოების მოწყვლადობას იყენებს. ეს მიდგომა არა მხოლოდ დეზინფორმირებას ახდენს, არამედ სოციალური ჯგუფების ტარგეტირებით, შიშების გაღვივებითა და განხეთქილების გაღრმავებით დემოკრატიული სტრუქტურების შესუსტებას განაპირობებს[2].

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კვლევა მხოლოდ გენდერის და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით იდენტობის შემთხვევებს მიმოიხილავს.
გარდა ამისა, კვლევაში განხილული ფაქტობრივი უზუსტობის მქონე მაგალითები შეფასებულია ისეთი ინდიკატორებით, როგორიცაა სლატშეიმინიგი და მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვა[3].

---

[1] EU DisinfoLab & #ShePersisted, 12 `October, 2022. Gender-Based Disinformation 101: Theory, Examples, and Need for Regulation https://bit.ly/3JZmtLn

[2] EEAS, 8 November, 2024. Safeguarding democracy: building resilience against identity-based disinformation https://bit.ly/42kFgrM

[3] გიორგი ურჩუხიშვილი, საფარი, სექსისტური სიძულვილის ენის ქართული ინდიკატორები სამუშაო ფოკუს-ჯგუფების ანგარიში. 2020 bit.ly/47kHgSX

„**სლატშეიმინგი**“ (slut-shaming) გულისხმობს ადამიანების, უმეტესად, ქალების და გოგოების კრიტიკას იმის გამო, რომ მათი ქცევა, გარეგნობა თუ ჩაცმულობა არ შეესაბამება სექსუალობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ გენდერულ ნორმებს და წარმოდგენებს. ასეთ ქცევად თუ გარეგნობად მიიჩნევა, მაგალითად, სექსუალური, პროვოკაციული ჩაცმულობა, კონტრაცეპციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა, ქორწინებამდელი სექსი ან შემთხვევითი სექსი. სლატშეიმინგი ასევე ხშირად გულისხმობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მთლიანად ან ნაწილობრივ დადანაშაულებას მისი ქცევითა თუ ჩაცმულობით ამ ძალადობის პროვოცირებაში. სლატშეიმინგი გამოიყენება ქალების შერცხვენის, სტიგმატიზების მიზნით.

მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა – ზნეობრივი ღირებულებების საფუძველზე თავდასხმა.

მონიტორინგი ეფუძნება ფეისბუქის 280 გვერდზე/ჯგუფზე სოციალური მედიის ანალიზის ინსტრუმენტების მეშვეობით მუდმივი დაკვირვების მონაცემებს, ასევე Meta-სთან მესამე მხარის ფაქტების გადამოწმების პროგრამის ფარგლებში “მითების დეტექტორის” მიერ გამოვლენილ შემთხვევებს, რომლებიც ქართულენოვანი სოციალური მედია ანგარიშების გარდა, რუსულენოვანსაც მოიცავს.

მონიტორინგის სუბიექტი ფეისბუქ ანგარიშების სრული სია, რომელიც პერიოდულად ახლდება, ხელმისაწვდომია გენდერბარომეტრის ვებ-გვერდზე[4].

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი გადამოწმებადი ინფორმაციის იდენტიფიცირების შემდეგ, ინფორმაციის გადამოწმება და მასალისთვის რეიტინგის მინიჭება “მითების დეტექტორის” მეთოდოლოგიით[5] ხდება, რომელიც საერთაშორისო გამოცდილებას და სტანდარტებს ეფუძნება.

[4] სოციალური მედიის მონიტორინგის მეთოდოლოგია. https://genderbarometer.ge/methodology/

[5] ფაქტების გადამოწმების მეთოდოლოგია https://mythdetector.ge/ka/methodologia/

შინაარსი

1. გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია....9
1.1. თემატიკა და სამიზნეები....9
1.2. მეთოდები....10
1.3. წყაროები და მათი მოქმედების ტაქტიკა....12
2. დასავლეთთან და უკრაინასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია....16
2.1. სქესის შეცვლასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია/მანიპულაცია....16
2.2.სექსუალური და სამოქალაქო განათლების დაკავშირება გარყვნილებასთან, გენდერული და სექსუალური ორიენტაციის დაკარგვასთან 17
2.3. ქალი პოლიტიკოსების/საჯარო პირების წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაცია და ქალთა მოძრაობის დისკრედიტაცია....19
2.4. ჰომოფობიური დეზინფორმაცია დასავლელი პოლიტიკოსების და სასულიერო პირის წინააღმდეგ....22
2.5. უკრაინის წინააღმდეგ....24
2.6. ოლიმპიადა/სპორტი....25
2.7. ევროვიზია....26
3. საქართველოსთან დაკავშირებული დეზინფორმაცია....29
3.1. პროტესტის დაკავშირება ლგბტქ+ თემთან....29
3.2. პროტესტის დისკრედიტაცია სექსისტური ვიზუალით, აქტივისტი ქალების და უფლებადამცველების დისკრედიტაცია 31
3.3. წინასაარჩევნოდ ოპოზიციის დისკრედიტაცია სლატშეიმინგით და ლგბტქ+ იდენტობასთან დაკავშირებით....34
3.4. კანონმდებლობასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია/მანიპულაცია....37

ცხრილი 1. *გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის თემატიკა*
ცხრილი 2. *გენდერული, იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის წყაროები თემატიკის მიხედვით*

დიაგრამა 1. *გენდერული/იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის მეთოდები*
დიაგრამა 2. *ვიზუალური მანიპულაციის ტიპოლოგია - გენდერული/იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია*
დიაგრამა 3. *გენდერული, იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის წყაროები თემატიკის მიხედვით*

მთავარი მიგნებები

2024 წლის მონიტორინგმა შემდეგი ტენდენციები გამოავლინა:

- გამოვლინდა გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის 71 შემთხვევა, საიდანაც უმეტესობა (53) წინა წლების მსგავსად სექსუალურ ორიენტაციას ეხებოდა, 18 კი - გენდერული ნიშნით დეზინფორმაციას და მანიპულაციას.
- გამოვლენილი მაგალითები მეტწილად ანტიდასავლური ხასიათის იყო და როგორც ინდივიდუალური საჯარო პირების, ასევე კონკრეტული მოვლენების (საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკაში, პარიზის ოლიმპიადა, ევროვიზია) და დასავლური ქვეყნების (ამერიკა, ევროკავშირის წევრი ქვეყნები, დიდი ბრიტანეთი) წინააღმდეგ იყო მიმართული.
- ანტიდასავლური თემატიკიდან ყველაზე აქტუალური სქესის შეცვლის საკითხი იყო, ასევე ცალკეული პოლიტიკოსებისა და სხვა საჯარო პირების დისკრედიტაცია როგორც მიზოგენიური, ასევე ჰომოფობიური შინაარსის გავრცელებით.
- ზოგიერთ შემთხვევაში გავრცელებული შინაარსი ინტერსექციული დისკრიმინაციის ხასიათს ატარებდა და პოლიტიკური დატვირთვის იყო, როცა რუსეთის, როგორც ე.წ. "გარყვნილი დასავლეთისგან" მართლმადიდებლობის ერთადერთი დამცველის მესიანისტურ მისიაზე კეთდებოდა აქცენტირება.
- უკრაინის თემაზე იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია ძირითადად ლგბტქ+ სიმბოლიკით მანიპულირებას ახდენდა და ჰომოფობიური დატვირთვის იყო.
- საქართველოში სახელისუფლებო პროპაგანდის მთავარი სამიზნე პროევროპული, პროდემოკრატიული საპროტესტო აქციები იყო, რომელთა დისკრედიტაცია ძირითადად ჰომოფობიური შინაარსის გაყალბებული ვიზუალით, ქალების პროტესტის გაქილიკებით, ასევე ქალი აქტივისტებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ მიზანმიმართული დეზინფორმაციის გავრცელებით ხდებოდა.
- საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სამოქალაქო პროტესტის ლგბტქ+ თემის საკითხებთან დაკავშირება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტაქტიკა იყო, რაც პოლიტიკური მოთხოვნებიდან ყურადღების კონტრავერსიულ საკითხებზე, კერძოდ, ლგბტქი+ თემის უფლებრივ თემატიკაზე გადატანას და საზოგადოების კონსერვატიული სეგმენტის განწყობებით მანიპულირებას ისახავდა მიზნად.
- გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტშიც გამოიყენებოდა და მისი სამიზნე ოპოზიციური პარტიების ქალი პოლიტიკოსები, საქართველოს ქალი პრეზიდენტი და ოპოზიციური პარტიის კაცი პოლიტიკოსები იყვნენ.
- წინასაარჩევნოდ ქალი პოლიტიკოსების დისკრედიტაციის მიზნით მათი მრუშობით შერცხვენა (სლატშეიმინგი) გამოიყენებოდა, მამაკაცების დისკრედიტაციის მიზნით კი - ჰომოსექსუალობის თემა.
- გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა ვიზუალური მანიპულაცია იყო, საიდანაც 8 შემთხვევაში

ტექნოლოგიის გამოყენებით (AI, Deepfake) გენერირებული, მეტწილად ჰომოფობიური ვიზუალი გამოვლინდა.

- ვიზუალური მანიპულაცია ყველაზე ხშირად პროტესტის დისკრედიტაციის მიზნით, ასევე ინდივიდუალური პოლიტიკოსების და სხვა საჯარო პირების დისკრედიტაციის მიზნით ვრცელდებოდა. ვიზუალური მანიპულაცია ასევე დომინირებდა უკრაინისა და ოლიმპიადის წინააღმდეგ გავრცელებულ დეზინფორმაციაშიც.
- დეზინფორმაციის და მანიპულაციის შემთხვევები მეტწილად სქესის შეცვლასთან, კანონმდებლობასთან, ასევე სექსუალური და სამოქალაქო განათლების და ისეთ თემებთან მიმართებაში იჩენდა თავს, რაც ინტერპრეტაციების შესაძლებლობას იძლეოდა.
- თუ წინა წლებში იდენტობასთან დაკავშირებული თემების ინსტრუმენტალიზაციას ძირითადად კრემლისტური და ულტრამემარჯვენე აქტორები რუსულ წყაროებზე დაყრდნობით ახდენდნენ, 2024 წელს ამ პროცესში სახელისუფლებო მედიის როლი მეტად გამოიკვეთა. შესაბამისად, იდენტობის თემაზე უცხოეთის მხრიდან ინფორმაციით მანიპულირების და ჩარევის (FIMI) ტენდენციას ადგილობრივი პროპაგანდა და სახელისუფლებო რესურსების სრული მობილიზება დაემატა.
- თემატური თანხვედრა ქართულ სახელისუფლებო მედიას, კრემლისტურ აქტორებსა და რუსულ პროპაგანდისტულ არხებს შორის ისეთ საკითხებზე გამოიკვეთება, როგორიცაა სამოქალაქო და სექსუალური განათლების გათანაბრება იდენტობის დაკარგვასთან; დასავლეთის/დასავლელი საჯარო პირების წინააღმდეგ ჰომოფობიური დეზინფორმაცია; უკრაინის დისკრედიტაცია.
- პროტესტის, ოპოზიციის, აქტივისტებისა და ჟურნალისტების დისკრედიტაციის მიზნით გავრცელებული გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია ყველაზე აქტიურად ანონიმური სახელისუფლებო ფეისბუქ ანგარიშების მეშვეობით ვრცელდებოდა.
- სახელისუფლებო მედიებიდან ყველაზე მეტად იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციისა და მანიპულაციური შინაარსის გავრცელების მხრივ პოსტვ გამოირჩეოდა, რუსულენოვან პროპაგანდისტული მედიებიდან კი ყველაზე ხშირად იდენტობის თემატიკაზე დეზინფორმაციის წყარო ტვ Царьград-ი იყო.
- ქართული ოპოზიციის მადისკრედიტირებელი ანონიმური ფეისბუქ ანგარიშები წინა წლების მსგავსად კრიზისულ სიტუაციებში პოლიტიკური თემებიდან ყურადღების იდენტობის თემებზე გადატანას ცდილობდნენ.

1. გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია

გენდერული დეზინფორმაცია, რომელიც გენდერისა და დეზინფორმაციის ინტერსექციაზე ახდენს აქცენტირებას, როდესაც ქალები, არაბინარული ადამიანები და LGBTQIA+ თემი ყალბი და მანიპულაციური შინაარსის სამიზნე არაპროპორციულად ხდებიან, წინა წლების მსგავსად, მეტწილად პოლიტიკური ოპონირების პროცესში, პოლიტიკურ ტექნოლოგიად გამოიყენებოდა.

ანგარიშში წარმოდგენილი გენდერულ და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის მონაცემები 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის პერიოდს ფარავს და ფაქტების გადამოწმების პლატფორმის "მითების დეტექტორის" მიერ გამოვლენილ 71 შემთხვევას მიმოიხილავს. წინა წლების მსგავსად მაგალითების უმეტესობა (53) სექსუალურ ორიენტაციას ეხება, ხოლო 18 გენდერული ნიშნით დეზინფორმაციას და მანიპულაციას ასახავს.

1.1. თემატიკა და სამიზნეები

გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია წინა წლების მსგავსად ანტიდასავლური ხასიათის იყო და ის როგორც ინდივიდუალური პირების - პოლიტიკოსები, აქტივისტები, უფლებადამცველები, ჟურნალისტები, ასევე კონკრეტული მოვლენების და დასავლური ქვეყნებს წინააღმდეგ იყო მიმართული.

გამოვლენილი ყალბი და მანიპულაციური შინაარსი, რომელიც უმეტესწილად მიზანმიმართული ხასიათის იყო, 12 თემატიკას შეეხებოდა, საიდანაც უშუალოდ საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესს 4 თემა უკავშირდებოდა.

ანტიდასავლური თემატიკიდან ყველაზე აქტუალური სქესის შეცვლის საკითხები იყო, ასევე ცალკეული პოლიტიკოსებისა და საჯარო პირების დისკრედიტაცია როგორც მიზოგინიური, ასევე ჰომოფობიური შინაარსის გავრცელებით. საქართველოსთან დაკავშირებულ გენდერულ-იდენტობაზე დაფუძნებულ დეზინფორმაციაში კი საპროტესტო აქციების დისკრედიტაციის მცდელობის მიზნით გავრცელებული შინაარსი დომინირებდა.

ცხრილი 1. გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის თემატიკა

დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკა			**საქართველოსთან დაკავშირებული თემატიკა**		
თემატიკა	**სამიზნე**	**რაოდენობა**	**თემატიკა**	**სამიზნე**	**რაოდენობა**
სქესის შეცვლასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია/მანიპულაცია	დასავლეთი	9	პროტესტის დაკავშირება ლგბტქი+ თემთან/პროტესტის დისკრედიტაცია სექსისტური ვიზუალით	ხელისუფლების საწინააღმდეგო პროტესტი	10
უცხოელი ქალი პოლიტიკოსების/საჯარო პირების დისკრედიტაცია სლატშეიმინგით, გენდერული იდენტობის ეჭვქვეშ დაყენებით	კამალა ჰარისი, ანალენა ბერბოკი, სვეტლანა წიხანოვსკაია, ბრიჯიტ მაკრონი	8	წინასაარჩევნოდ ოპოზიციის დისკრედიტაცია სლატშეიმინგით და ლგბტქი+ იდენტობასთან დაკავშირებით	პრეზიდენტი ზურაბიშვილი, ენმ, ახლები, ფედერალისტები	6
ჰომოფობიური დეზინფორმაცია დასავლელი პოლიტიკოსების და სასულიერო პირის წინააღმდეგ	დასავლეთი	7	ქალი აქტივისტების, ჟურნალისტის დისკრედიტაცია	მთავარი არხის ჟურნალისტი, საფარის ხელმძღვანელი, ყოფილი სახალხო დამცველი	3
სექსუალური და სამოქალაქო განათლების დაკავშირება გარყვნილებასთან, გენდერული და სექსუალური ორიენტაციის დაკარგვასთან	დასავლეთი, უკრაინა	7	კანონმდებლობასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია/მანიპულაცია	ევროკავშირი, გაერო	3
ოლიმპიადასთან/სპორტთან დაკავშირებული ჰომოფობიური დეზინფორმაცია/მანიპულაცია	საფრანგეთი, ევროპა	6			
ლგბტქ+ თემის დისკრიმინაცია სხვადასხვა ნიშნით	ევროპა, აშშ, ლგბტ ლობი	6			
უკრაინის ჯარის/უკრაინის დისკრედიტაცია სექსისტური და ჰომოფობიური შინაარსის მასალით	უკრაინა	5			
ქალთა მოძრაობის დისკრედიტაცია	ქალთა საერთაშორისო დღე	1			
		49			**22**

1.2. მეთოდები

გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა ვიზუალური მანიპულაცია იყო (37), რასაც დეზინფორმაცია (20) და მანიპულაციური/კონტექსტის გარეშე შინაარსის მასალა (8) მოსდევს. გაყალბებული ციტატებისა და პოსტების (6) შემთხვევები მეტწილად ქალ აქტივისტებსა და უფლებადამცველებს და ერთ შემთხვევაში პარიზის ოლიმპიადას უკავშირდებოდა. ნაწილობრივ მცდარი ინფორმაციის გავრცელების კი 1 შემთხვევა გამოვლინდა.

დიაგრამა 1. გენდერული/იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის მეთოდები

ვიზუალური მანიპულაციის 37 შემთხვევიდან ყველაზე მეტი (23) ფოტომანიპულაცია / ფაბრიკაცია იყო, ფოტოფაბრიკაციის 15 შემთხვევიდან 6 ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ვიზუალი იყო. ვიდეოფაბრიკაციის 5 შემთხვევიდან 1 ხელოვნური ინტელექტით გენერირებული, 1 კი - deepfake ტექნოლოგიის გამოყენებით გაყალბებული იყო. ვიდეოს გაყალბების სხვა შემთხვევებში კადრების რედაქტირება, ხოლო ვიდეომანიპულაციის (9) შემთხვევაში ვიზუალის აღწერასთან შეუსაბამობა იკვეთებოდა.

აღსანიშნავია, რომ ვიზუალური მანიპულაცია ყველაზე ხშირად პროტესტის დისკრედიტაციის მიზნით, ასევე ინდივიდუალური პოლიტიკოსების და სხვა საჯარო პირების დისკრედიტაციის მიზნით ვრცელდებოდა. ვიზუალური მანიპულაცია ასევე დომინირებდა უკრაინისა და ოლიმპიადის წინააღმდეგ გავრცელებულ დეზინფორმაციაშიც.

დიაგრამა 2. ვიზუალური მანიპულაციის ტიპოლოგია - გენდერული/იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია

ტექნოლოგიების გამოყენებით გენერირებული დეზინფორმაცია. ტექნოლოგიების გამოყენებით გენერირებული დეზინფორმაციის 8 შემთხვევიდან 7 ჰომოფობიური შინაარსის იყო. გეი წყვილის კოცნა, რომელიც ხელოვნური ინტელექტისა და deepfake ტექნოლოგიის გამოყენებით იყო გენერირებული, 2 შემთხვევაში საქართველოს შეეხებოდა და საპარლამენტო არჩევნებზე ოპოზიციის, ასევე პროევროპული და

პროდემოკრატიული პროტესტის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად. 1 შემთხვევაში ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ორი მამაკაცის კოცნა საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს შეეხებოდა და ქართულ სოციალურ ქსელებში რუსული წყაროებიდან გავრცელდა. ხელოვნური ინტელექტით გენერირებული გენდერული დეზინფორმაციის 1 შემთხვევა კი ამერიკის პრეზიდენტობის დემოკრატ კანდიდატს კამალა ჰარისს შეეხებოდა.

დეზინფორმაცია/მანიპულაცია. დეზინფორმაციის (20) და მანიპულაციის/კონტექსტის გარეშე (8) შემთხვევები მეტწილად სქესის შეცვლასთან, კანონმდებლობასთან, ასევე სექსუალური და სამოქალაქო განათლების და ისეთ თემებთან მიმართებაში ჩნდებოდა, რაც ინტეპრეტაციების შესაძლებლობას იძლეოდა.

გაყალბებული ციტატები/პოსტები. ციტატების/ფეისბუქ პოსტების გაყალბებას სხვადასხვა მიზნით მიმართავდნენ. მაგალითად, მსახიობ მელ გიბსონის, როგორც ავტორიტეტის ციტირება, ოლიმპიადის წინააღმდეგ განწყობების გასაღვივებლად ხდებოდა, სახალხო დამცველის და ჟურნალისტის პოსტების გაყალბება კი - მათი დისკრედიტაციის მიზნით. ქალთა უფლებადამცველის სახელით კი პოსტების გაყალბება ზოგ შემთხვევაში სატირული ხასიათის იყო და ფემინიზმის გაქილიკების მიზნით იქმნდებოდა, თუმცა იმის გამო, რომ შინაარსს მომხმარებელი სატირად უმეტესწილად არ აღიქვამდა, გაყალბებული შინაარსი, როგორც რეალური ვრცელდებოდა და იმ ადამიანებზე თავდასხმისთვის გამოიყენებოდა, ვისაც ეს სიტყვები მიეწერებოდა.

1.3. წყაროები და მათი მოქმედების ტაქტიკა

მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის წყაროები თემატიკისდა მიხედვით ცვალებადია. ამასთანავე, იკვეთება ახალი ტენდენცია, რომელიც აჩვენებს, რომ თუ წინა წლებში ამ თემების ინსტრუმენტალიზაციას ძირითადად კრემლისტური და ულტრამემარჯვენე აქტორები ახდენდნენ, სათავეს კი დეზინფორმაცია ძირითადად რუსული წყაროებიდან იღებდა[6], 2024 წელს ამ პროცესში სახელისუფლებო მედიის როლი მეტად გამოიკვეთა. ამ უკანასკნელებს კი ფრაგმენტიზირებულ კრემლისტურ გამოცემებთან და სოციალური ქსელების ანგარიშებთან შედარებით გაცილებით მეტი და ცენტრალიზებული რესურსები აქვთ. შესაბამისად, იდენტობის თემაზე უცხოეთის მხრიდან ინფორმაციით მანიპულირების და ჩარევის (FIMI)[7] ტენდენციას, რასაც წლების განმავლობაში კრემლი

[6] კინწურაშვილი თ, გენდერული დეზინფორმაცია 2023, მედიის განვითარების ფონდი https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/241

[7] „უცხოეთის მხრიდან ინფორმაციით მანიპულირება და ჩარევა (FIMI) ძირითადად აღწერს ქცევის არალეგალურ მოდელს, რომელიც საფრთხეს უქმნის ან აქვს პოტენციალი ნეგატიური ზემოქმედება მოახდინოს ღირებულებებზე, პროცედურებსა და პოლიტიკურ პროცესებზე. ასეთი აქტივობა მანიპულაციურ ხასიათს ატარებს, მიზამნმიმართულად და კოორდინირებულად ხორციელდება სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორების, მათ შორის მათთან დაკავშირებული აქტორების მხრიდან როგორც საკუთარ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ“. European External Action Service’s (EEAS) Stratcom division, February 2023. 1st EEAS Report on Foreign Information Manipulation and Interference threats

ახორციელებდა, ადგილობრივი პროპაგანდა და სახელისუფლებო რესურსების სრული მობილიზება დაემატა.

როგორც ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ჩანს, თემატური თანხვედრა ქართულ სახელისუფლებო მედიას, კრემლისტურ აქტორებსა და რუსულ პროპაგანდისტულ არხებს შორის ისეთ საკითხებზე იკვეთება, როგორიცაა სამოქალაქო და სექსუალური განათლების გათანაბრება იდენტობის დაკარგვასთან და გარყვნილებასთან; დასავლეთის/დასავლელი საჯარო პირების წინააღმდეგ ჰომოფობიური დეზინფორმაცია; უკრაინის დისკრედიტაცია. სქესის შეცვლასთან დაკავშირებული თემატიკა კი ძირითადად ქართულ სახელისუფლებო, კრემლისტურ მედიაში და ქართულენოვან და რუსულენოვან სოციალურ ქსელებში იჩენდა თავს.

პროტესტის, ოპოზიციის, აქტივისტებისა და ჟურნალისტების დისკრედიტაციის მიზნით გავრცელებული გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია ყველაზე აქტიურად ანონიმური სახელისუფლებო ფეისბუქ ანგარიშების მეშვეობით ვრცელდებოდა, ასევე სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიისა და კრემლისტური აქტორების მიერ.

დიაგრამა 3. გენდერული, იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის წყაროები თემატიკის მიხედვით



სახელისუფლებო მედიებიდან ყველაზე მეტად იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციისა და მანიპულაციური შინაარსის გავრცელების მხრივ პოსტვ გამოირჩეოდა, რომლის ეთერში 2023 წლის ბოლოს ახალი გადაცემა "ლიბერალიზმის ანატომია" გამოჩნდა. გადაცემა ძირითადად დასავლეთში ლიბერალიზმის კრიზისის თემას ავითარებს და ანტილიბერალური და ანტიდასავლური დისკურსის შექმნას სწორედ გენდერული იდენტობის და სექსუალური ორიენტაციის თემებზე

https://www.eeas.europa.eu/eeas/1st-eeas-report-foreign-information-manipulation-and-interference-threats_en

დეზინფორმაციისა და მანიპულაციური შინაარსის გავრცელებით ცდილობს. 2022 წელს შექმნილი ფეისბუქ გვერდი "საქართველო უპირველეს ყოვლისა", პოსტვის გადაცემის მსგავსად ანტილიბერალურ, კონსერვატიულ პლატფორმად პოზიციონირებს და ძირითად წყაროდ დასავლურ ულტრამემარჯვენე ჯგუფებს ეყრდნობა, განსხვავებით კრემლისტური პლატფორმებისგან, რომლებიც რუს ულტრანაციონალისტ ფილოსოფოსს ალექსანდრე დუგინზე[8] აკეთებენ სწორებას. სახელისუფლებო ონლაინ მედიებიც იმ ეკოსისტემის ნაწილია, ვინც ამ თემებზე იდენტური შინაარსის კოორდინირებულ გავრცელებაშია ჩართული.

ოპოზიციის მადისკრედიტირებელი ანონიმური ფეისბუქ ანგარიშები კი, რომლებიც ადრეც აქტიურად ოპერირებდნენ და კრიზისულ სიტუაციებში პოლიტიკური თემებიდან ყურადღების იდენტობის თემებზე გადატანას ცდილობდნენ, ძირითადად ისევ საპროტესტო აქციების და ოპოზიციის დისკრედიტირების ნიშას იკავებდნენ.
კრემლისტურ აქტორებს, როგორიცაა კონსერვატიულ პარტიასთან დაკავშირებული "ალტ-ინფო", "სოლიდარობა მშვიდობისთვის", "სეზონი ტვ", "სალტე", სრული თემატური თანხვედრა ჰქონდათ როგორც რუსულ პროპაგანდისტულ, ასევე ქართულ სახელისუფლებო არხებთან.

რუსულენოვან პროპაგანდისტული მედიებიდან ყველაზე ხშირად იდენტობის თემატიკაზე დეზინფორმაციის წყარო ტვ "Царьград"-ია, ასევე სხვადასხვა ონლაინ პლატფორმები. დეზინფორმაციის გავრცელებას კი როგორც რუსულენოვანი, ასევე ქართულენოვანი ინდივიდუალური სოციალური ფეისბუქ ანგარიშები ხშირად კოორდინირებული სახით ავრცელებენ.

ქართულენოვანი ინდივიდუალური ფეისბუქ ანგარიშები, რომლებიც დეზინფორმაციის გავრცელების პროცესში კოორდინირებულად იყვნენ ჩართული, პოლიტიკური აფილაციის მიხედვით ან მმართველი პარტიის ან კონსერვატიული მოძრაობის მხარდამჭერები იყვნენ. პოლიტიკურად მოტივირებული სოციალური მედიის მომხმარებლების გარდა, აღსანიშნავია ისიც, რომ "მითების დეტექტორმა" საარჩევნო პროტესტის დისკრედიტაციაში ჩართული არაავთენტური ანგარიშების ქსელი გამოავლინა, რომლებიც სახელისუფლებო ფეისბუქ გვერდს "არ აგარევინებთ" უკავშირდება[9] და კოორდინირებულ არაავთენტურ ქცევაში (CIB) იყო ჩართული. ხელისუფლებასთან დაკავშირებული მსგავსი ქსელების არსებობა წარსულშიც გამოვლინდა[10], 2023 წელს კი ასეთი ანგარიშები წაშალა[11], რაც იმის დასტურია, რომ ხელისუფლება ოპონენტების წინააღმდეგ პროპაგანდისტულ მედიებთან ერთად, კარგად კოორდინირებულ ანონიმური ანგარიშების ქსელსაც იყენებს.

---

[8] შეყელაძე, კინწურაშვილი, 4 თებერვალი, 2021 დუგინი: "ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ იძულებულები ვხდებით"...https://bit.ly/4jkilye
[9] ანი ქისტაური, 26 ნოემბერი, 2024, 26 ტროლი საარჩევნო პროტესტის დისკრედიტაციისთვის https://mythdetector.com/ka/saarchevno-protesti/
[10]ანი ქისტაური, 4 მაისი, 2022. სახელისუფლებო ტროლების "უკრაინული ფრონტი https://mythdetector.com/ka/sakhelisuphlebo-trolebis-ukrainuli-phronti/
[11] Civil.ge, 4 მაისი, 2023 Meta-მ საქართველოს მთავრობასთან ასოცირებილი ათობით ანგარიში წაშალა https://civil.ge/ka/archives/540679

ცხრილი 2. გენდერული, იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის წყაროები თემატიკის მიხედვით

აქტორები / თემატიკა	სახელისუფლებო აქტორები/მედიები	ანონიმური სახელისუფლებო ფბ ანგარიშები	კრემლისტური	სასულიერო პირები	ქართულენოვანი ინდ.FB ანგარიშები	რუსული პროპაგანდისტული არხები	რუსულენოვანი ინდ. FB ანგარიშები
სამოქალაქო/სექსუალური განათლება=იდენტობის დაკარგვას/გარყვნილებას	POS TV, ეროვნული ტელევიზია					ЦАРЬГРАД-ТВ	
დასავლეთის წინააღმდეგ ჰომოფობიური დეზინფორმაცია	POS TV, NEWS HUB, REPORTIORI.GE, DIGEST, Georgia First NEWS, 3ვირა, Info 9				REGNUM	Pressa24, ALBERT MEDIA, БИЗНЕСONLINE, РИА НОВОСТИ, MKRU, ВЫБОР НАРОДА	
უკრაინის დისკრედიტაცია სექსისტური და ჰომოფობიური შინაარსის მასალით	POS TV		სოციალისტური კლასდამრეა, ევროპიელ ეროვნულ-ანარქისტ ალიანსი, ძიიან ევროპისკენ			АНТИФАШИСТ, СУМИ ГОЛОВНЕ	
უცხოელი ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ სექსისტური დეზინფორმაცია						ЦАРЬГРАД-ТВ, 5 ПЯТЫЙ КАНАЛ, MKRU, газета.ru, KP.RU	
სქესის შეცვლა	POS TV, Georgia First NEWS		საუფლი TV, ხალვეგ ანარეკლ				
პროტესტის/ოპოზიციის/ აქტივისტების/ ჟურნალისტების დისკრედიტაცია	POS TV, DIGEST, EN, Info 9, NEWS HUB	ანტი-ლიბერალური დოქტრინა, სამშობლოს ფასი, ტარიელი ლიდერ-ანალიტიკოსი, ალეკო ოდიოლა, ანტი-ნატოური პოლიტიკა, მიხეილ კარტოზია ბელი	საუფლი TV, ძიიან ევროპისკენ, ცელიანი ზაური				
კანონმდებლობა	NEWS HUB, DIGEST						
ოლიმპიადასთან დაკავშირებული ჰომოფობიური დეზინფორმაცია							

2. დასავლეთთან და უკრაინასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია

გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია ყველაზე ხშირად დასავლეთის წინააღმდეგ იყო მიმართული და როგორც უფლებრივ საკითხებს, ასევე ინდივიდუალურ პირებს მიემართებოდა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებთან იყო კავშირში.

დეზინფორმაცია უკავშირდებოდა ისეთ ადგილობრივ თუ რეგიონულ თემატიკას, როგორიცაა:

- ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები
- ომი უკრაინაში
- პარიზის ოლიმპიადა
- ევროვიზია

ანტიდასავლური თემატიკიდან ყველაზე აქტუალური სქესის შეცვლის საკითხები იყო, ასევე ცალკეული პოლიტიკოსებისა და საჯარო პირების დისკრედიტაცია როგორც მიზოგინიური, ასევე ჰომოფობიური შინაარსის ვიზუალური და სხვა მასალებით.

2.1. სქესის შეცვლასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია/მანიპულაცია

ამ თემაზე გამოვლენილი დეზინფორმაციული და მანიპულაციური მასალები (9) ძირითადად არასრულწლოვნებში სქესის შეცვლას შეეხებოდა და ამკვიდრებდა აზრს, რომ დასავლეთის ქვეყნებში ეს პროცესი მშობლების ნებართვის გარეშე, ბავშვთა უფლებების ხელყოფით ხდებოდა. გავრცელებული მასალები ძირითადად დეზიფორმაციული ხასიათის იყო.

აღსანიშნავია, რომ თუ წინა წლებში ბავშვების დაცვის საბაბით ამ თემებზე ძირითადად კრემლისტური და ანტილიბერალური ჯგუფები აქტიურობდნენ და საკანონმდებლო ინიციატივებითაც გამოდიოდნენ[12], ბოლო წლებში აღნიშნული თემატიკაზე საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას მეტწილად ხელისუფლება და მისი მედია პლატფორმები ცდილობენ. სქესის შეცვლაზე დეზინფორმაციული გზავნილების წყაროებში "ქართული ოცნების" დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი და პროპაგანდისტული სახელისუფლებო არხი Postv-იც ფიგურირებს, რომლის გადაცემა "ლიბერალიზმის ანატომია" ძირითადად დასავლეთში იდენტობის თვითგამორკვევის საკითხებს ეხება და არაერთი დეზინფორმაციის თუ მანიპულაციის წყაროა. ამ მხრივ ასევე გამოირჩევა სახელისუფლებო ფეისბუქ გვერდი Georgia First NEWS, რომელიც კონსერვატიულ პლატფორმად ფიგურირებს.

[12] მითების დეტექტორი, 26 მარტი, 2024. "უფალია ჩვენი სიმართლიდან" "ქართულ ოცნებამდე" – უფლებების შემზღუდავი 8 ინიციატივა, რომელიც პარლამენტში სექსუალურ ორიენტაციაზე და გენდერზე დაინიცირდა https://bit.ly/3FKeJwN

დეზინფორმაცია: არასრულწლოვანებს სქესის შეცვლისთვის მშობლის თანხმობა არ სჭირდებათ			
ევროპაში[13] ***წყარო:*** ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნება 	**ამერიკაში**[14] ***წყარო:*** სახელისუფლებო POSTV, “ლიბერალიზმის ანატომია”, Georgia First NEWS, კრემლისტური სეზონი ტვ POS TV Georgia First NEWS geo-first.com სეზონი TV	**ნიდერლანდებში**[15] ***წყარო:*** სახელისუფლებო POSTV, ალექსანდრე ბოლქვაძე, სასულიერო პირი POS TV 	**გერმანიაში**[16] ***წყარო:*** ფბ გვერდი “სალტე”, ნატა დარჩიაშვილი სალტე

2.2. სექსუალური და სამოქალაქო განათლების დაკავშირება გარყვნილებასთან, გენდერული და სექსუალური ორიენტაციის დაკარგვასთან

ბავშვებთან დაკავშირებული კიდევ ერთი თემა, რომელიც წინა წლებში მეტწილად რუსული წყაროებიდან იღებდა სათავეს, სკოლებში სექსუალურ და სამოქალაქო განათლებას უკავშირდება. გზავნილი, რომ დასავლეთის თავსმოხვეული სამოქალაქო და სექსუალური განათლება მოზარდებში გარყვნილებას და გენდერული და სექსუალური ორიენტაციის დაკარგვას განაპირობებს, როგორც სახელისუფლებო (Postv, ლიბერალიზმის ანატომია), ასევე კრემლისტურ (ალტ-ინფო), უკრაინის შემთხვევაში კი რუსულ (Царьград) პროპაგანდისტულ მედიებში და სოციალურ ქსელებში იჩენდა თავს.

[13] დავით რობაქიძე, 25 ოქტომბერი, 2024. ბიძინა ივანიშვილის გენდერული დეზინფორმაცია ტვ “იმედის” ინტერვიუში bit.ly/42pWeGw

[14] მარიამ ტალახაძე, 18 ივლისი, 2024. რეალურად რას ითვალისწინებს კალიფორნიის ახალი კანონი ლგბტქ+ საკითხებზე სკოლებისთვის? https://bit.ly/4kQEU4Q მითების დეტექტორი, 23 სექტემბერი, 2024. დეზინფორმაცია, თითქოს მასკის შვილმა სქესის შეცვლის ოპერაცია მშობლების თანხმობის გარეშე ჩაიტარა https://bit.ly/41K7jkk თეკლა ხარაზიშვილი, 8 ივლისი, 2024. POSTV ბავშვებისათვის სქესის შეცვლის შესახებ ბაიდენის ციტატის არასწორ თარგმანს ავრცელებს https://bit.ly/3DWRsag

[15] მითების დეტექტორი, 1 მარტი, 2024. დეზინფორმაცია, თითქოს ნიდერლანდებში 10 წლის ბავშვებს სქესს მშობლის ნებართვის გარეშე უცვლიან https://bit.ly/3RvRKrC

[16] ქეთი ხუციშვილი, 26 აგვისტო, 2024. 4 მცდარი და მანიპულაციური მტკიცება ევროპაზე “სალტეს” ეთერში. https://bit.ly/4cdXcZJ

დეზინფორმაცია/მანიპულაცია	სამიზნე	დარღვევის ტიპი	ქართული და რუსული წყაროები
მტკიცება, რომ უკრაინის სკოლებში მე-3 კლასში გენდერის და სექსუალური ორიენტაციის საკითხებს ასწავლიან, მცდარია[17]	უკრაინა	დეზინფორმაცია	Царьград, ინდ. რუსული და ქართული ფბ ანგარიშები
მტკიცება, რომ ლატვიაში სექსუალური განათლების გაკვეთილზე ჰომოსექსუალობას და პედოფილობას ასწავლიან, დეზინფორმაციულია[18]	ლატვია	დეზინფორმაცია	ანტივაქსერული ფბ ჯგუფი ანტილაბ-საქართველო, ინდ ფბ ანგარიშები
მტკიცება, რომ სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები ქართულად "ლგბტ პროპაგანდისთვის" ითარგმნა, მანიპულაციურია[19]	ენმ, დასავლეთი	მანიპულაცია	სახელისუფლებო Postv, ფბ გვერდი ლიბერალიზმის ანატომია
მტკიცება, რომ ევროპის ქვეყნებში სქესობრივ განათლების შეტანა აბორტის და ვენერული დაავადებების ზრდას იწვევს, დეზინფორმაციაა[20]	ევროპა	დეზინფორმაცია	კრემლისტური ალტინფო
მტკიცება, რომ პოლონეთში რელიგიის გაკვეთილებს სექსუალური განათლება ჩაანაცვლებს, ხოლო სექსუალური განათლების გაკვეთილის გაცდენის გამო მშობლებს ციხეში ჩასვამენ, მცდარია[21]	პოლონეთი	დეზინფორმაცია	სახელისუფლებო პოსტვ
მტკიცება, რომ რუმინეთში სექსუალურ განათლებას 5 წლის ასაკიდან ასწავლიან, მცდარია[22]	რუმინეთი	დეზინფორმაცია	ვახტანგ თოხაძე, სასულიერო პირი, ალტინფო
მტკიცება, თითქოს საცვლებში გამოწყობილი ადამიანის ვიდეო აშშ-ს სკოლაში სასწავლო პროცესს ასახავს, დეზინფორმაციულია[23].	აშშ	ვიდეომანიპულაცია	ინდ. ფბ ანგარიშები

[17] თეკლა ხარაზიშვილი, 21 აგვისტო, 2024. მცდარია, თითქოს უკრაინის სკოლების დაწყებით კლასებში სექსუალურ ორიენტაციაზე საგანს ასწავლიან. მითების დეტექტორი https://bit.ly/42cyBQm

[18] მითების დეტექტორი, 17 ივლისი, 2024. გენდერული საკითხები, განათლება და კანონმდებლობა – 3 დეზინფორმაცია ლატვიაზე https://bit.ly/3QYLbOd

[19] ანი ქისტაური, 20 ივნისი, 2024. როგორ მანიპულირებს POSTV "კომპასის" და "კომპასიტოს" სახელმძღვანელოების შინაარსით? https://bit.ly/429Hdaz

[20] თეკლა ხარაზიშვილი, 27 თებერვალი, 2024. რა კავშირშია სქესობრივი განათლება ევროპაში აბორტისა და ვენერული დაავადების სტატისტიკასთან? https://bit.ly/3QYrkyD

[21] არაბელა კორძახია, 15 ოქტომბერი, 2024. POSTV პოლონეთში სექსუალური განათლების გაკვეთილებზე ნაწილობრივ მცდარ ინფორმაციას ავრცელებს https://bit.ly/3RvtWEi

[22] თეკლა ხარაზიშვილი, 25 აპრილი, ,,ალტ-ინფოზე" რუმინეთში ინცესტისა და ანტიდისკრიმინაციული კანონის შესახებ ყალბი ინფორმაცია ვრცელდება https://bit.ly/3Ru7Ge0

[23] მითების დეტექტორი, 21 მარტი, 2024. ვიდეო, რომელშიც ნახევრად შიშველი აქტივისტი ჩანს, აშშ-ის სკოლაში არ არის გადაღებული https://bit.ly/4lgrhw8

2.3. ქალი პოლიტიკოსების/საჯარო პირების წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაცია და ქალთა მოძრაობის დისკრედიტაცია

ქალი პოლიტიკოსების და საჯარო პირების მიმართ გამოვლენილი გენდერული დეზინფორმაცია ყველაზე ხშირად მათ მრუშობით შერხცვენას ახდენდა, გარკვეულ შემთხვევებში კი მათი გენდერული იდენტობის ეჭვქვეშ დაყენება ხდებოდა.

სლატშეიმინგის ყველაზე მეტი შემთხვევა (5) ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდებოდა და პრეზიდენტობის დემოკრატი კანდიდატის კამალა ჰარისის წინააღმდეგ მეტწილად ვიზუალური მანიპულაცია-ფაბრიკაციის სახით ვრცელდებოდა. ვიზუალური მანიპულაცია მეტწილად სლატშეიმინგის ხასიათს ატარებდა და ამტკიცებდა, რომ ის წარსულში სექს მუშაკი იყო. ასევე ხდებოდა ჰარისის დაკავებულ რეპერ P. Diddy-ისთან დაკავშირება[24] და რეპერთან გარყვნილ ქმედებებში ჩართვის გამო მისი მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვა[25].

ვიზუალური მანიპულაციებიდან, სადაც ჰარისის წარსული რეპუტაციის ეჭვქვეშ დაყენება ხდებოდა[26], ერთ-ერთი ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ფოტო იყო[27].

AI გენერირებული ფოტო

[24] მითების დეტექტორი, 1 ოქტომბერი, 2024. დეზინფორმაცია, თითქოს ვიდეოში კამალა ჰარისი P. Diddy-სთან ერთად არის ასახული https://bit.ly/3Ydkx89
[25] მითების დეტექტორი, 2 ოქტომბერი, 2024. დეზინფორმაცია, თითქოს P. Diddy-ის წვეულებების მასალებში კამალა ჰარისი ფიგურირებს https://bit.ly/4iT7xgp
[26] მითების დეტექტორი, 24 ივლისი, 2024. კამალა ჰარისის შესახებ ვიზუალური მანიპულაციები ვრცელდება https://bit.ly/42qD3MP
[27]მითების დეტექტორი, 15 აგვისტო, 2024. კამალა ჰარისის შესახებ მორიგი ფოტოფაბრიკაცია ვრცელდება https://bit.ly/3XBErti

უზუსტობები ფოტოზე

ფოტოზე უკან მდგომ მანქანას ფარები არ აქვს

გენდერული დეზინფორმაციის სამიზნე ბელარუსის ოპოზიციონერი ლიდერი სვეტლანა ტიხანოვსკაიაც გახდა, რომლის წინააღმდეგ ქართული და რუსული ფეისბუქ ანგარიშები ნახევრადშიშველი პორნო მოდელის ფოტოს მცდარი აღწერით ავრცელებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ მასზე ტიხანოვსკაია იყო ასახული[28].



სლატშეიმინგის სამიზნე იყო ასევე გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალენა ბერბოკი, რომლის წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაცია[29], რომ აფრიკაში ვიზიტისას ის ესკორტის მომსახურებით სარგებლობდა, ახლადშექმნილ საეჭვო რეპუტაციის წყაროს ეყრდნობოდა. მასალა კი რუსული პროპაგანდისტული მედიებით

[28] მითების დეტექტორი, 25 სექტემბერი, 2024. ფოტომანიპულაცია, თითქოს სვეტლანა ტიხანოვსკაია ნახევრად შიშველი პოზირებს https://bit.ly/43uVpNK

[29] მითების დეტექტორი, 2 აგვისტო, 2024. ანალენა ბერბოკის დისკრედიტაციის მიზნით ინფორმაციას ახლადშექმნილი მედია ავრცელებს https://bit.ly/42sdHy0

(tsargrad.tv, MK.RU, KP.RU, GAZETA.RU, 5-tv.ru) ვრცელდებოდა. ბერბოკი გენდერული დეზინფორმაციის სამიზნე წარსულშიც იყო, როცა რუსულენოვანი წყაროები რუსი პორნო მოდელის შიშველ ვიზუალს ახალგაზრდა ბერბოკის პროსტიტუციის მტკიცებულებად ავრცელებდნენ[30].

მრუშობასთან არა მხოლოდ კონკრეტული ქალი პოლიტიკოსების გაიგივება, არამედ ქალთა საერთაშორისო დღის დაკავშირებაც ხდებოდა, როცა ამტკიცებდნენ, რომ მისი საფუძველი დანიაში სექს-მუშაკების პროტესტი გახდა[31].

საფრანგეთის პირველი ლედის ბრიჯით მაკრონის შემთხვევაში კი დეზინფორმაციის გავრცელების მიზანი მისი გენდერული იდენტობის ეჭვქვეშ დაყენება იყო, რისთვისაც ქართულენოვანი და რუსულენოვანი ფეისბუქ ანგარიშები ფოტოფაბრიკაციის ტექნიკას იყენებდნენ[32].

მარცხნივ ქართული და რუსული სოციალურ ქსელებში გავრცელებული გაყალბებული ფოტო



ელენა ხუსტოვას გადაღებული მარჯვენა ფოტო, რომელიც Alamy-ზე არის ხელმისაწვდომი, პროგრამულად არის დამუშავებული და მასში ბრიჯიტ მაკრონის სახეა ჩასმული

[30] მითების დეტექტორი, "ვინ არის გამოსახული ფოტოზე – გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი თუ რუსი პორნო მოდელი?" 28 მარტი, 2023. https://bit.ly/4aggXOg

[31] თეკლა ხარაზიშვილი, 13 მარტი, 2024. რა დეზინფორმაცია ვრცელდება 8 მარტის აღნიშვნის ისტორიაზე? https://bit.ly/4chDrRd

[32] მითების დეტექტორი, 2 აგვისტო, 2024 ფეისბუქზე ბრიჯიტ მაკრონის შესახებ ფოტოფაბრიკაცია ვრცელდება https://bit.ly/4bVlEz4

2.4. ჰომოფობიური დეზინფორმაცია დასავლელი პოლიტიკოსების და სასულიერო პირის წინააღმდეგ

იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის სამიზნე საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი და რომის პაპი ფრანცისკე გახდნენ, რა დროსაც ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ვიზუალი იყო გამოყენებული.

ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ვიდეო[33], რომელიც რუსული სოციალური ქსელებიდან და მედიიდან იღებს სათავეს, მაკრონის მიერ მამაკაცის კოცნას ასახავს. აღნიშნული ვიდეოს შესახებ ინფორმაცია, რუსულენოვანი პროპაგანდისტული ონლაინ მედიებით ("Московский Комсомолец", pressa24.ru, dzen.ru, Arbat Media), ფეისბუკის ინდივიდუალური ანგარიშებით, youtube არხებით, რუსული სოციალური ქსელებით (vkontakte, telegram; livejournal) და სხვა არხებით, ასევე ქართული ფეისბუქ ანგარიშებით გავრცელდა.

ავთენტური ფოტო



AI ტექნოლოგიით დამუშავებული ფოტო

[33] მითების დეტექტორი, 12 აგვისტო, 2024. სოციალურ ქსელში ემანუელ მაკრონის ვიდეოფაბრიკაცია ვრცელდება https://bit.ly/4caUbJH



"Московский Комсомолец". Появились шокирующие снимки поцелуя Макрона с мужчиной

Arbat Media. Макрон целует мужчину? В Сети появились скандальные фото французского президента

ხელოვნური ინტელექტით გენერირებული რომის პაპის ფრანცისკეს ფოტო, რომელზეც მას ცისარტყელის დროშა აქვს მხრებზე შემოხვეული, ინტერსექციული დისკრიმინაციის ხასიათს ატარებს და რუსულენოვანი ტექსტით გავრცელდა: „Россия последний оплот христианского мира Католичество -- всё.” (რუსეთი ქრისტიანული სამყაროს ბოლო საყრდენია. კათოლიციზმი დამთავრდა). პოსტის თანმხლები კომენტარი ჰომოფობიურთან ერთად ანტიკათოლიკურია და რუსული სამყაროს, როგორც მართლმადიდებლობის ერთადერთი დამცველის მესიანისტურ მისიაზე აკეთებს აქცენტირებას: “რუსეთი დარჩა ერთადერთი, ვისაც ძალუძს მართლმადიდებლობის მტრებთან დაპირისპირება!”.

2.5. უკრაინის წინააღმდეგ

უკრაინის თემაზე იდენტობასთან დაფუძნებული დეზინფორმაცია ძირითადად ლგბტქი+ სიმბოლოკით მანიპულირებას ახდენდა და ჰომოფობიური დატვირთვის იყო (4). ფოტოფაბრიკაცია, თითქოს სუმიში ბანერზე უკრაინელი სამხედრო ცისარტყელის და უკრაინის დროშების ფონზეა გამოსახული[34] რუსულოვანი წყაროებით გავრცელდა, სადაც აქცენტირება უკრაინელების მიერ ¨არატრადიციული ღირებულებების¨ დაცვაზე კეთდებოდა.



Antifashist.com: В Сумах рекламщики призывают украинцев воевать за нетрадиционные ценности (სუმიში რეკლამის განმთავსებლები უკრაინელებს არატრადიციული ღირებულებებისთვის ბრძოლისკენ მოუწოდებენ).

გენდერული დეზინფორმაციის სამიზნე უკრაინელი მებრძოლი ქალებიც გახნდნენ. უკრაინის ქალთა გვარდიის სახელით გაყალბებული პოსტერი სექსისტური ტექსტით - "მაკაკასაც შეგიძლია ასწავლო ტარება" - რუსულენოვანი ონლაინ პლატფორმებითა

[34] ლიზი ელოშვილი, 22 ოქტომბერი, 2024. ფოტოფაბრიკაცია, თითქოს სუმიში ბანერზე უკრაინელი სამხედრო ცისარტყელის და უკრაინის დროშების ფონზეა გამოსახული https://bit.ly/4chDxIz

(ukraina.ru, dnepr-news.ru) და სოციალური ქსელებით გავრცელდა[35]. ამასთანავე, გარკვეულ შემთხვევაში აღნიშნული ვიზუალი ჰომოფობიური დატვირთვითაც ვრცელდებოდა, სადაც გეებს ქალთმოძულეებად წარმოაჩენდნენ:

> ***ukraina.ru:*** *Куда собираются геи Киева? Почему женщин Украины сравнили с макаками? И другие смешные и не очень истории (სად იკრიბებიან კიეველი გეები? ჩატომ შეადარეს უკრაინელი ქალები მაკაკებს? და სხვა სასაცილო და არც ისე სასაცილო ისტორიები)*[36].







2.6. ოლიმპიადა/სპორტი

ჰომოფობიური დეზინფორმაციის სამიზნე პარიზის ოლიმპიადაც გახდა. როგორც რუსული, ასევე ქართული ფეისბუქ მომხმარებლები ვიზუალური მანიპულაციის გზით არაერთ დეზინფორმაციას ავრცელებდნენ, სადაც სპორტსმენების გენდერული იდენტობის ეჭვქვეშ დაყენება ხდებოდა.

ოლიმპიადაში მონაწილე სპორტსმენების ტრანსგენდერობის დასამტკიცებლად ქალი სპორტსმენების სხეულზე ფოტოფაბრიკაციის გზით მამაკაცის სასქესო ორგანოს გამოსახვა ხდებოდა. მოკრივე იმანე ხელიფის შემთხვევაში ასეთი ფოტო ხელოვნური ინტელექტით იყო გენერირებული[37], ჭოკით მხტომელი სპორტსმენის შემთხვევაში კი, ფოტო პროგრამულად იყო დამუშავებული[38], მასზე კი არა პარიზის ოლიმპიადის მონაწილე, არამედ რუსი ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა 2013 წლის მოსკოვში მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობისას იყო ასახული.

---

[35] Нана Чадунели, 14 ноября, 2024. От имени Женской гвардии Украины распространяется фейковый постер сексистского содержания https://mythdetector.com/ka/qhalbi-posteri-vrtseldeba/
[36] ukraina.ru, 17 ноября, 2024 https://ukraina.ru/20241117/1058968050.html
[37] მითების დეტექტორი, 19 სექტემბერი, 2024. მოკრივე იმანე ხელიფის ტრანსგენდერობის დასამტკიცებლად AI-ით შექმნილი ფოტო ვრცელდება https://bit.ly/42aCPs1
[38] მითების დეტექტორი, 30 ივლისი, 2024. რუსი მძლეოსნის დარედაქტირებულ ფოტოს პარიზის ოლიმპიადას უკავშირებენ https://bit.ly/4hXOiRx



იმანე ხელიფის AI გენერირებული ფოტო | *უზუსტობები ფოტოზე*

გაყალბებული ფოტო | *ავთენტური ფოტო*

ვიზუალური მანიპულაციის გარდა, ოლიმპიადასთან დაკავშირებით ციტატების გაყალბების მეთოდასაც მიმართავდნენ. მაგალითად, მელ გიბსონის სახელით გავრცელებული სიტყვები[39], რომ ქალთა ცურვაში ბიოლოგიური მამაკაცისთვის ოქროს მედლის მიცემის და მისი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის გამო, ის ბოიკოტს უცხადებდა ოლიმპიადას, გამოგონილი იყო.

2.7. ევროვიზია

ანტიევროპული გზავნილების საბაბი გახდა 2024 ევროვიზიაც, რომლის შესახებაც გავრცელებული ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ფოტო[40] სოციალური

[39] მითების დეტექტორი, 1 აგვისტო, 2024. პარიზის ოლიმპიადასთან დაკავშირებით მელ გიბსონის გაყალბებული ციტატა ვრცელდება https://bit.ly/4jd5x2j
[40] მარიამ დანგაძე, 12 მაისი, 2024. ევროვიზია 2024-ზე AI გენერირებული ყალბი ფოტო ვრცელდება https://bit.ly/3EcGZrl

ქსელის ქართულ და რუსულენოვან მომხმარებლებში შემდეგი კომენტარებით ვრცელდებოდა: “გეივიზია”, “აბა ვის უნდა ესეთი სოდომური მომავალი? საკუთარ ოჯახში?” “ჯენზი თაობის სახე და სიამაყე: კუტებიანი ფუჩები გეი-ვიზიის საბრძოლო ფორმაში”, “У меня одного вопрос, а нахрена мне такая Европа?!” (მე მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს, რა ჯანდაბად მინდა ასეთი ევროპა). ზოგიერთ შემხთვევაში პოსტის ავტორები “სატანური”, “სოდომური” ევროპის საჭიროებასთან ერთად, ევროვიზიაში მონაწილეობის მიზანშეწონილობასაც ეჭვქვეშ აყენებდნენ.

გაყაღებებული ფოტო



უზუსტობები ფოტოზე

3. საქართველოსთან დაკავშირებული დეზინფორმაცია

სახელისუფლებო პროპაგანდის მთავარი სამიზნე პროევროპული, პროდემოკრატიული საპროტესტო აქციები იყო, რომელთა დისკრედიტაცია ძირითადად ჰომოფობიური შინაარსის გაყალბებული ვიზუალით, ქალების პროტესტის გაქილიკებით, ასევე ქალი აქტივისტებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ მიზანმიმართული დეზინფორმაციის გავრცელებით ხდებოდა. გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტშიც გამოიყენებოდა და მისი სამიზნე ოპოზიცური პარტიების ქალი პოლიტიკოსები, საქართველოს ქალი პრეზიდენტი და ოპოზიციური პარტიის კაცი პოლიტიკოსები იყვნენ.

3.1. პროტესტის დაკავშირება ლგბტქ+ თემთან

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სამოქალაქო პროტესტის ლგბტქი+ თემის საკითხებთან დაკავშირება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტაქტიკა იყო, რა დროსაც გაყალბებული შინაარსი მეტი დამაჯერებლობისთვის ძირითადად ვიზუალური მანიპულაცია-ფაბრიკაციის ხასიათს ატარებდა. მიზანი კი პოლიტიკური მოთხოვნებიდან ყურადღების კონტრავერსიულ საკითხებზე, კერძოდ, ლგბტქი+ თემის უფლებრივ თემატიკაზე გადატანა და საზოგადოების კონსერვატიული სეგმენტის განწყობებით მანიპულირება იყო.

ამ მეთოდს სახელისუფლებო მედია და ფეისბუქზე მმართველი პარტიის მხარდამჭერი, ასევე ოპოზიციის მადისკრედიტირებელი ანონიმური ანგარიშები როგორც გაზაფხულზე "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის" წინააღმდეგ მიმდინარე, ასევე 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პროდემოკრატიული და პროევროპული საპროტესტო აქციების წინააღმდეგ იყენებდნენ. დეზინფორმაციული შინაარსის გავრცელებას კი კოორდინირებულად ახდენდნენ.

საქართველოში მიმდინარე პროევროპული, პროდემოკრატიული აქციების მოთხოვნები სამოქალაქო სექტორისთვის რეპრესიული კანონის გაუქმება, ხელახალი არჩევნების ჩატარება, ასევე ევროკავშირში გაწევრიანების დღის წესრიგში დაბრუნება მას შემდეგ გახდა, რაც საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა[41], რომ 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხს დღის წესრიგში არ დააყენებდა.

[41]Civil.ge, 28 ნოემბერი, 2024. „ქართული ოცნება" ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს დღის წესრიგიდან ხსნის https://civil.ge/ka/archives/638848

დეზინფორმაცია	დარღვევის ტიპი	წყაროები
ჰომოფობიური შინაარსის		
ფოტოფაბრიკაცია[42] და ფოტომანიპულაცია[43], თითქოს აქციის მონაწილე გეი წყვილი ერთმანეთს კოცნის (2)	AI გენერიებული ფოტო/ფოტომანიპულაცია	**სახელისუფლებო მედიები:** POSTV; დაიჯესტი; INFO 9; ნიუსჰაბი; Exclusive News; **FB გვერდი:** "არ აგარევინებთ. ინდ. ფბ ანგარიშები
საპროტესტო აქციის პოლიტიკური შინაარსის სლოგანი რედაქტირების შედეგად ერთი სქესის პირთა ქორწინების მოთხოვნით[44] და ერთინაირ სქესის პირთა შესახებ წარწერით[45] არის შეცვლილი (2)	ფოტოფაბრიკაცია	**ოპოზიციის მადისკრედიტირებელი ანონიმური გვერდები/ჯგუფები:** "პოლიტიკური საღორე N5", ტერენტი გლდანელი, წინ საქარათველო უკეთესი მომავლისაკენ !!! ხელისუფლების მხარდამჭერი ფბ ანგარიშები. **ანტისავლური:** ანტილიბერალური დოქტრინა, შინ ევროპისკენ
საპროტესტო აქციასთან ლგბტქ+ დროშის დაკავშირება[46] და პროევროპულ აქციაზე ცრუ ანონსის გამოყენებით ოპოზიციის შეკრების გეი-პრაიდად წარმოჩენა[47] (2)	ფოტომანიპულაცია/ფოტოფაბრიკაცია	**ოპოზიციის მადისკრედიტირებელი ანონიმური გვერდი** "ანტი ნაცური პოლიტიკა" **კრემლისტური:** „სეზონი TV", „შიინ ევროპისკენ", ინდ. FB ანგარიშები

ზემოთ მოყვანილი ვიზუალური მანიპულაციის 6 შემთხვევიდან, რომელიც პროტესტს ერთი და იმავე სქესის პირებს ხელოვნურად უკავშირებდა, ერთ-ერთ შემთხვევაში გეი წყვილის კოცნა ხელოვნური ინტელექტით, პროგრამა Midjourney-ში იყო გენერირებული. აღნიშნული ვიზუალი სახელისუფლებო მედიაში იდენტური სათაურით "გეი წყვილი "მშვიდობის" მიტინგზე" გავრცელდა. სიტყვა "მშვიდობიანის" გამოყენებას ამ შემთხვევაში პროპაგანდისტული მიზანი აქვს - ის აქციის არამშვიდობიან ხასიათზე მიანიშნებს და ერთი და იმავე სქესის პირთა ურთიერთობების სტიგმატიზებას ახდენს.

[42] მითების დეტექტორი, 3 დეკემბერი, 2024 სახელისუფლებო მედიის მიერ გავრცელებული გეი წყვილის ფოტო AI გენერირებულია https://mythdetector.com/ka/gei-tsqhvili/

[43] მითების დეტექტორი, 3 მაისი, 2024. თბილისის საპროტესტო აქციებზე ჰომოფობიური შინაარსის ფოტომანიპულაცია ვრცელდება https://bit.ly/3QTTNpm

[44] მითების დეტექტორი, 21 აპრილი, 2024. "პოლიტიკური საღორე N5" "რუსული კანონის" საწინააღმდეგო პოსტერს აყალბებს https://mythdetector.com/ka/rusuli-kanonis-satsinaaghmdego-posters-aqhalbebs/

[45] მითების დეტექტორი, 22 აპრილი, 2024. ვინ გააყალბა საპროტესტო პოსტერი, რომელიც საქართველოს ევროპულ მომავალს შეეხება? https://bit.ly/41PBLe3

[46] მითების დეტექტორი, 16 აპრილი, 2024. მანიპულაცია, თითქოს 15 აპრილის აქციაზე LGBTQ+ დროშა გაშალეს https://mythdetector.com/ka/15-aprilis-aqtsiaze-lgbtq-drosha-gashales/

[47] მითების დეტექტორი, 20 ოქტომბერი, 2024. საქართველო ირჩევს ევროკავშირს – მარშის ორგანიზებაზე დეზინფორმაცია ვრცელდება https://mythdetector.com/ka/saqarthvelo-irchevs-evrokavshirs/



სურათზე სახელისუფლებო მედიების მიერ კოორდინირებულად გავრცელებული AI გენერირებული გეი წყვილის კოცნის ფოტო, იდენტური სათაურით “გეი წყვილი “მშვიდობის” მიტინგზე”

ხახვეზები AI გენეhიhებუღ ფოტოზე

3.2. პროტესტის დისკრედიტაცია სექსისტური ვიზუალით, აქტივისტი ქალების და უფლებადამცველების დისკრედიტაცია

ჰომოფობიურ შინაარსთან ერთად პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიური ქალების დისკრედიტაცია წინა წლების მსგავსად კვლავაც პრობლემატური იყო. აქციების დისკრედიტაციის მიზნით 4 სექსისტური შინაარსის დეზინფორმაცია გავრცელდა. 2 შემთხვევაში მიზანი თავად პროტესტის დისკრედიტაცია იყო, ხოლო 2 შემთხვევაში, სამიზნე ოპოზიციური "მთავარი არხის" ჟურნალისტი, ეკა კვესიტაძე იყო.

ცხრილში მოყვანილ პირველ მაგალითში, რომელიც არჩევნების გაყალბების გამო პროტესტს ეხებოდა, სახელისუფლებო მედიის მიზანი ქალთა პროტესტის გაქილიკება-დაკნინება იყო; მეორე შემთხვევაში კი ხელისუფლების მხარდამჭერი ფეისბუქ ანგარიშების მიზანი საპროტესტო აქციის მასტიმულირებელ ფაქტორად ქალის შიშველი სხეულის წარმოჩენა იყო, რისთვისაც ესპანეთის ვიდეოკადრებს მცდარი აღწერით იყენებდნენ. ჟურნალისტ ეკა კვესიტაძის შემთხვევაში გაყალბებული პოსტი და ფოტო საპროტესტო აქციებს უკავშირდებოდა. ერთ შემთხვევაში მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის მიზანი მრუშობით შერცხვენა იყო: ავთენტური პოსტერი, რომელზეც ის პრემიერ-მინისტრს გადაცემაში კრიტიკულ კითხვებზე საპასუხოდ იწვევდა, ფოტოშოპით რედაქტირების შედეგად სექსისტური ტექსტით იყო შეცვლილი, სადაც მისი საათობრივი მომსახურების ტარიფები იყო მითითებული.

დეზინფორმაცია	დარღვევის ტიპი	წყაროები
სექსისტური შინაარსი		
ქალი აქტივისტების საპროტესტო აქციის ბანერი არჩევნებზე ფარულობის დარღვევის შესახებ რედაქტირების შედეგად წითელი ლაქებით იყო შეცვლილი, რაც მენსტურალური ციკლის აღქმას ტოვებდა[48]	ფოტოფაბრიკაცია	**სახელისუფლებო:** PosTV, ინდ. ფბ ანგარიშები

[48] მითების დეტექტორი, 13 ნოემბერი, 2024. POSTV ცესკოს შენობასთან ქალების აქციის შესახებ ფოტოფაბრიკაციას ავრცელებს https://bit.ly/4iPB6iv

ვიდეო, რომელშიც ქალი მაისურს იწევს და შიშველი სხეულით შენობის წინ შეკრებილი ხალხისკენ იხრება, ბარსელონას ასახავს და არა საქართველოს საპროტესტო აქციას, სადაც მომიტინგეებს ქალის შიშველი სხეულით ამხნევებენ[49]. 	ვიდეომანიპულაცია	**ფბ გვერდი** “სექსუალური მცენარეული პროდუქტები მამაკაცებისთვის და ქალებისთვის”, ხელისუფლების მხარდამჭერი ანგარიშები
საპროტესტო აქციის მონაწილე მთავარი არხის ჟურნალისტის გაყალბებული პოსტერი[50] და პოსტი[51] სექსისტური შინაარსის ტექსტით 	ფოტოფაბრიკაცია/ გაყალბებული პოსტი	**სახელისუფლებო მედია:** მარშალ პრესი **ოპოზიციის მადისკრედიტირებელი ანონიმური ანგარიში:** მიხეილ განუბაჟებელი **ანტიდასავლური:** ცელიანი ზაურა

უშუალოდ საპროტესტო აქციების გარდა, ქალი აქტივისტების და უფლებადამცველების დისკრედიტაცია გაყალბებული პოსტებისა და ციტატების გზით ხდებოდა, რა დროსაც აბსურდული სიტყვების ამ ადამიანებზე მიწერა გენდერის თემატიკის დაკნინებას ისახავდა მიზნად. ყველაზე ხშირი სამიზნე ამ მხრივ წლებია ქალთა უფლებების დამცველი, ორგანიზაცია საფარის ხელმძღვანელი ბაია პატარაიაა, რომელსაც გაყალბებული პოსტით და ციტატით შემდეგი სიტყვები მიეწერებოდა: “კაცების გარეშე ქალები უფრო მალე გამრავლდებოდნენ[52]” და “მირჩევნია ისევ

[49]მითების დეტექტორი, 2 მაისი, 2024. თბილისი თუ ბარსელონა – სად არის გადაღებული კადრები, რომელსაც თბილისის საპროტესტო აქციებს უკავშირებენ https://mythdetector.com/ka/thbilisi-thu-barselona/

[50] მითების დეტექტორი, 16 აპრილი, 2024. ფეისბუკზე ეკა კვესიტაძის საპროტესტო ბანერის დამუშავებული ფოტო ვრცელდება https://mythdetector.com/ka/kvesitadzis-saprotestodamushavebuli-photo-vrtseldeba/

[51] მითების დეტექტორი, 30 აპრილი, 2024. ეკა კვესიტაძის ფოტო გაყალბებული აღწერით ვრცელდება https://mythdetector.com/ka/eka-kvesitadzis-gaqhalbebuli-photo/

[52] მითების დეტექტორი, 21 აგვისტო, 2024. სწრაფად გამრავლებაზე უფლებადამცველ ბაია პატარაიას სახელით ყალბი ციტატა ვრცელდება

სექსუალურად იძალადო ჩემზე და თავი ნამდვილ ქალად მაგრძნობინო”[53].

აღსანიშნავია ისიც, რომ ბაია პატარაიას სახელთან დაკავშირებული გაყალბებული პოსტები/ციტატები, რომლებიც “მითების დეტექტორს” ბოლო წლებში არაერთხელ გამოუვლენია[54], ზოგჯერ თავდაპირველად სატირული მიზნით იქმნებოდა, თუმცა მათი სოციალურ ქსელში გაზიარება ფემინისტთა საქმიანობის და პატარაიას კრიტიკის საფუძველი ხდებოდა, რადგან სოციალური მედიის მომხმარებელი ასეთ პოსტებს რეალურად აღიქვამდა. უფრო მეტიც, ასეთი გაყალბებული პოსტები უფლებადამცველზე თავდასხმისთვის გამოიყენებოდა. მაგალითად, მას შემდეგ, რაც 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა “საფარის” ხელმძღვანელი ღირსების მედლით დააჯილდოვა, როგორც პრეზიდენტი, ასევე უფლებადამცველი სოციალურ ქსელში თავდასხმების სუბიექტები გახდნენ. მეტწილად ხელისუფლების მხარდამჭერი ფეისბუქ-მომხმარებლები პატარაიას სახელით 2021 წელს გავრცელებული გაყალბებული პოსტის სქრინს აზიარებდნენ, თითქოს ის ბიჭების რაოდენობის შესამცირებელ და გოგოების შობადობის წამახალისებელ რეგულაციებს ითხოვდა და პრეზიდენტს ამ სიტყვების ავტორის დაჯილდოვების გამო პასუხს თხოვდნენ.

პრეზიდენტ ზურაბიშვილის კრიტიკა ფეისბუქზე ბაია პატარაიას დაჯილდოვების გამო, მისი სახელით გაყალბებული პოსტის შინაარსის გამო

პოსტების გაყალბების პრაქტიკა 2024 წელს ყოფილი სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას წინააღმდეგაც გამოიყენეს, რასაც ინტერსექციული დისკრიმინაციის ხასიათი ჰქონდა. გაყალბებული პოსტი, რომელზეც ლომჯარია ხალხს აღდგომას ლგბტქი+ ცისარტყელას ფერებში კვერცხით ულოცავს, თავდაპირველად სახელისუფლებო ექსპერტმა გააზიარა, სადაც ის ყოფილ სახალხო დამცველს “უსამშობლო”, “ანტიეკლესიურ” “ევრომადიდებლად” მოიხსენიებდა, რომელიც ახალგაზრდებს “ქრისტე აღდგას” ნაცვლად “წინ ევროპისკენ” თქმისკენ უბიძგებდა.
ეს ყალბი პოსტი სახელისუფლებო მედიამ (InfoPostalioni.com) და სხვა ფეისბუქ

https://mythdetector.com/ka/stsraphad-gamravlebaze-baia-pataraias-sakhelith-tsitata/

[53] მითების დეტექტორი, 14 მარტი. ბაია პატარაიას სახელით მორიგი გაყალბებული პოსტი ვრცელდება https://mythdetector.com/ka/baia-pataraias-gaqhalbebuli-posti/

[54] მითების დეტექტორი https://bit.ly/4jby7kG

ანგარიშებმაც აიტაცეს და ნინო ლომჯარიაზე თავდასხმისთვის გამოიყენეს.

3.3. წინასაარჩევნოდ ოპოზიციის დისკრედიტაცია სლატშეიმინგით და ლგბტქი+ იდენტობასთან დაკავშირებით

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ქართველი პოლიტიკოსების წინააღმდეგ გამოვლენილი დეზინფორმაციის მაგალითები აჩვენებს, რომ ქალი პოლიტიკოსების დისკრედიტაციის მიზნით მათი მრუშობით შერცხვენა (სლატშეიმინგი) გამოიყენებოდა(3), მამაკაცების დისკრედიტაციის მიზნით კი - ჰომოსექსუალობის თემა (3).

გენდერული დეზინფორმაციის სამიზნე 2 შემთხვევაში ოპოზიციური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ენმ) თავმჯდომარე თინა ბოკუჩავა იყო, ერთ შემთხვევაში კი - საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი. სამივე შემთხვევა ფოტო და ვიდეო ფაბრიკაციის გზით ქალი პოლიტიკოსების მრუშობით შერცხვენას ახდენდა.

დეზინფორმაცია	დარღვევის ტიპი	წყაროები
თინა ბოკუჩავას (ენმ) ვიდეო, რომელშიც ის აცხადებს, რომ ერთდოულად მეუღლე და პრეზიდენტი სააკაშვილი უყვარს, დარედაქტირებულია[55]	ვიდეოფაბრიკაცია	ანტიოპოზიციური ფბ გვერდი "სიმართლის დროა", ინდ. ფბ ანგარიშები

[55] მითების დეტექტორი, 8 აგვისტო, 2024. ფეისბუკზე თინა ბოკუჩავას დარედაქტირებული ვიდეო ვრცელდება. https://mythdetector.ge/ka/pheisbukze-thina-bokuchavas-daredaqtirebuli-video-vrtseldeba/

თინა ბოკუჩავას (ენმ) ფოტო საცვლებში პროგრამულადაა დამუშავებული[56]  *გაყიდბებული* | *ავთენტური*	ფოტოფაბრიკაცია	ინდ. ფბ ანგარიშები
პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ვიდეო, სადაც ის აცხადებს, რომ 6 პრეზიდენტს "მისცა", დამონტაჟებულია[57] 	ვიდეოფაბრიკაცია	კონსერვატიული მოძრაობის და ქართული ოცნების მხარდამჭერი ანგარიშები

ჰომოფობიური შინაარსის ვიდეოფაბრიკაციის სამიზნე 2 შემთხვევაში პარტია “ახლების” თავმჯდომარე ნიკა გვარამია იყო, ერთ შემთხვევაში - პარტია “ფედერალისტები”, რა დროსაც პარტიის სახელწოდების შეურაცხმყოფელ ტერმინ “პიდარასტთან” მანიპულაციური დაკავშირება ხდებოდა.

[56] გიორგი მინაშვილი, 13 ივნისი, 2024. თინა ბოკუჩავას დისკრედიტაციის მიზნით ფეისბუქზე ფოტოფაბრიკაცია ვრცელდება https://bit.ly/4hBcEQV

[57] მითების დეტექტორი, 30 ოქტომბერი, 2024. 28 ოქტომბრის აქციიდან სალომე ზურაბიშვილის ვიდეოფაბრიკაცია ვრცელდება https://bit.ly/4izlf86

დეზინფორმაცია	დარღვევის ტიპი	წყაროები
DeepFake ტექნოლოგიით დამუშავებული ვიდეო, სადაც ოპოზიციური პარტიის (ახალი) ლიდერი ნიკა გვარამია მამაკაცს კოცნის[58]	ვიდეოფაბრიკაცია /DeepFake ტექნოლოგია	ანტიოპოზიციური ფბ ანგარიში “პოლიტ ოლოგი”
ოპოზიციური პარტიის ლიდერის ნიკა გვარამიას რედაქტირებული ვიდეო, სადაც სიყვარულს მამაკაცს უხსნის[59]	ვიდეოფაბრიკაცია	ანტიოპოზიციური ფბ გვერდი "სიმართლის დროა"
რედაქტირებულ ვიდეოში ოპოზიციური პარტიის (ფედერალისტები) წევრი გიორგი ახალაია საკუთარ თავს ფედერალისტების ნაცვლად **დერასტებს უწოდებს[60]	ვიდეოფაბრიკაცია	“კონსერვატიული მოძრაობის” და “ქართული ოცნების” მხარდამჭერი ფეისბუქ მომხმარებლები

როგორც ქალების შემთხვევაში, კაც პოლიტიკოსებთან მიმართებითაც ვიზუალური მანიპულაციის ტექნიკა გამოიყენებოდა. 3 ვიდეოფაბრიკაციიდან, 2 შემთხვევაში რედაქტირების შედეგად შეცვლილი იყო შინაარსი, ხოლო 1 შემთხვევაში Deepfake ტექნოლოგიის გამოყენებით გენერირებული ორი მამაკაცის კოცნა პარტია “ახალის” ლიდერის ნიკა გვარამიას წინააღმდეგ იყო მიმართული და უშუალოდ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა დღით გავრცელდა[61].



პროგრამულად დამუშავებული კადრი

ავთენტური კადრი

[58] მითების დეტექტორი, 26 ოქტომბერი, 2024. სოციალურ ქსელში ნიკა გვარამიასა და გიორგი გაბუნიას კოცნის DeepFake ვიდეო ვრცელდება https://bit.ly/4itVAO5
[59] მითების დეტექტორი, 24 ოქტომბერი, 2024. სოციალურ ქსელში ნიკა გვარამიასა და გიორგი გაბუნიას რედაქტირებული ვიდეო ვრცელდება https://bit.ly/4iycF9A
[60] მითების დეტექტორი, 16 აგვისტო, 2024. ფეისბუქზე პარტია “ფედერალისტების” რედაქტირებული ვიდეო ვრცელდება https://bit.ly/4bRWTE1
[61] მითების დეტექტორი, 26 ოქტომბერი, 2024. სოციალურ ქსელში ნიკა გვარამიასა და გიორგი გაბუნიას კოცნის DeepFake ვიდეო ვრცელდება https://bit.ly/4itVAO5

3.4. კანონმდებლობასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია/მანიპულაცია

კანონმდებლობასთან დაკავშირებით გავრცელებული ყალბი შინაარსი (3) ძირითადად ანტიდასავლური ხასიათის იყო. წლების განმავლობაში კულტივირებული დეზინფორმაცია[62], თითქოს ევროკავშირი საქართველოს ერთნაირსქესიან წყვილთა ქორწინების კანონით აღიარებას ავალდებულებდა, კრემლისტურ ტელეარხზე (სეზონი ტვ) გავრცელდა. სტატისტიკური მონაცემებით მანიპულირება, თითქოს დასავლეთი ოჯახური ძალადობის კანონმდებლობით ოჯახების დაშლას და მამაკაცების მიზანმიმართულ დასუსტებას ცდილობს, ასევე კრემლისტურ მედიაში ("ალტ-ინფო") გავრცელდა[63]. მტკიცება, რომ გაერო სექსუალური აქტივობის ყველა სახეობის დეკრიმინალიზაციას და პედოფილიის, ნეკროფილიის, ზოოფილიისა და აბორტების წახალისებას გეგმავს, სათავეს ხალხის ძალის განცხადებიდან იღებს, რომელიც სახელისუფლებო მედიაში აქტიურად გაშუქდა[64].

[62]მითების დეტექტორო, 23 მაისი, 2024. წევრობის სანაცვლოდ ევროკავშირი საქართველოს ერთნაირსქესიან წყვილთა ქორწინების ლეგალიზებას არ სთხოვს https://bit.ly/429Xpsy

[63]მითების დეტექტორი, 19 მარტი, 2024. როგორ მანიპულირებს ალტ-ინფო ოჯახური ძალადობის მუხლით და რას გვეუბნება პროკურატურის სტატისტიკა? https://bit.ly/429Xpsy

[64]ცისია კირვალიძე, 12 მარტი, 2024. დეზინფორმაცია, თითქოს გაეროს ანგარიში პედოფილიასა და ზოოფილიას ახალისებს, შვეიცარიაში კი ინცესტი კანონითაა დაშვებული https://mythdetector.com/ka/gaeros-angarishi/